

კავკასიის უნივერსიტეტი
კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	
Graduate Program in Information Technology Management	
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	
მაგისტრატურა	
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	
აკადემიური	
სწავლების ენა	
ქართული	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
ქართულად:	ინჟინერიის მაგისტრი ინფორმაციულ ტექნოლოგიებში 020308
ინგლისურად:	Master of Engineering in Information Technology 020308
სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	
ინფორმაცია იხ. "პროგრამის ხელმძღვანელის CV"	კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი დათუკიშვილი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	
<p>პროგრამით განსაზღვრული კვალიფიკაციის მისაღებად გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ 120 ECTS კრედიტის ათვისება, ერთი სასწავლო წლის ფარგლებში 60 კრედიტის განაწილებით.</p> <p>სამაგისტრო პროგრამის სწავლების ვადაა ორი, ხოლო დასაშვები ხანგრძლივობა ხუთი წელიწადი. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრი მოიცავს თითო 19 კალენდარულ კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 38 კვირაზე.</p> <p>1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, პრეზენტაცია და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილ დროს.</p> <p>პროგრამით განსაზღვრული სრული დატვირთვის კრედიტების საერთო რაოდენობა გადანაწილებულია შემდეგნაირად:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სავალდებულო საგნების მოდული – 54 ECTS კრედიტი <ul style="list-style-type: none"> • თეორიული საგნები - 24 ECTS კრედიტი • პრაქტიკაზე ორიენტირებული საგნები – 30 ECTS კრედიტი 2. სავალდებულო კვლევითი კომპონენტის მოდული - 12 ECTS კრედიტი <ul style="list-style-type: none"> • სამაგისტრო ნაშრომი – 12 ECTS კრედიტი 3. არჩევითი აკადემიური აქტივობის მოდული – 54 ECTS კრედიტი (პროგრამით განსაზღვრული 96 ECTS კრედიტიდან) <ul style="list-style-type: none"> • თეორიული საგნები - 48 ECTS კრედიტი • პრაქტიკაზე ორიენტირებული საგნები – 36 ECTS კრედიტი • პროფესიული პრაქტიკა – 12 ECTS კრედიტი <p>სასწავლო გეგმით გათვალისწინებული 120 ECTS კრედიტის ფარგლებში, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა არაუმეტეს 12 ECTS კრედიტი (არჩევითი სტატუსის მქონე საგნების ჩანაცვლების ხარჯზე), ათვისოს ალტერნატიული გზით, თავისუფალი კრედიტების აღიარებით.</p>	
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	
<ul style="list-style-type: none"> • ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს შესაბამისი ან მონათესავე (ინჟინერია, ბიზნესის ადმინისტრირება, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები) დარგის ბაკალავრის ხარისხის მქონე პირს. • პროგრამაზე მიღების წინაპირობაა საერთო სამაგისტრო გამოცდა. საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს 	

საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში.

- კავკასიის უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული შიდა გასაუბრება.
- პროგრამაზე მიღების დამატებითი წინაპირობაა შიდა საუნივერსიტეტო ტესტირება ინგლისურ ენაში (ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში აპლიკანტი თავისუფლდება ტესტირებისგან).
- პროგრამაში გამოყენებული სასწავლო მასალების გარკვეული ნაწილი არის ინგლისურ ენაზე.

სამაგისტრო პროგრამის მიზანი

პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო პარტნიორი უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილება, იქ არსებული სამაგისტრო პროგრამების თავისებურებები. პროგრამის შემუშავება ეფუძნება პარტნიორი უნივერსიტეტების (Tallinn University of Technology; Upper Austria University of Applied Sciences (Hagenberg); Kaunas University Of Technology) დარგის წამყვანი სპეციალისტებისა და პროფესორების რეკომენდაციებს, რომელთაც ტექნოლოგიების სკოლის ადმინისტრაცია და პროგრამაში ჩართული პროფესორები იღებდნენ უნივერსიტეტებში გაცვლითი ვიზიტებისას და ასევე პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლების კავკასიის უნივერსიტეტის ტექნოლოგიების სკოლაში განხორციელებულ საკონსულტაციო შეხვედრებზე.

პროგრამის თავისებურება გამოიხატება გარკვეული საკითხების განსაკუთრებით ფართოდ შესწავლაში, რომელთა შერჩევა მოხდა ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერებზე არსებული და მზარდი მოთხოვნების გათვალისწინებით, როგორც საქართველოს შრომით ბაზარზე, ასევე საერთაშორისო დონეზე.

პროგრამის სასწავლო პროცესი ეყრდნობა სამეცნიერო კვლევის ელემენტების გათვალისწინებით პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებს. ის კონცენტრირებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის უახლესი სამეცნიერო თუ პრაქტიკული ინფორმაციით გამდიდრებული დისციპლინების სიღრმისეულ სწავლებაზე. თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტს მიიღოს დარგში ღრმა თეორიული ცოდნა და კარგად დაეუფლოს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. პროგრამის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების გააზრებული პროპორციულობა საფუძველს ქმნის კურსდამათავრებულმა უზრუნველყოს პერსპექტიული სპეციალისტის კარიერა ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში, როგორც საქართველოში ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადებას. ის მიმართულია სტუდენტს გამოუმუშაოს ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტში სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევები, მისცეს როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების ღრმა ცოდნა, ასევე ბიზნესის მართვის მეთოდოლოგიების ცოდნა და ამით უზრუნველყოს კვალიფიკაციის შესაბამისად წამყვან პოზიციებზე მათი დასაქმება.

პროგრამის კურსდამათავრებული იქნება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მაღალი დონის სპეციალისტი ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტში, ინფორმაციული ტექნოლოგიების ღრმა ცოდნითა და ბიზნესის გარემოსა და სტრატეგიის კარგი ანალიზის, ინოვაციური მეთოდებით მართვის და პრობლემების ანალიტიკურად გადაჭრის უნარით.

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები

ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამათავრებული შეიძენს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს, კერძოდ სტუდენტი შეძლებს:

ცოდნა და გაცნობიერება

- საზოგადოებაში და ორგანიზაციაში საინფორმაციო ტექნოლოგიების როლის გააზრებას;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისების მართვის მეთოდოლოგიის შერჩევას;
- სხვადასხვა ინფორმაციული სისტემების ბიზნეს ღირებულების აღქმას;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისების ხარისხის შეფასებას;
- მონაცემთა მოდელირების კლასიკური თეორიების სიღრმისეულ შეცნობას;
- მონაცემთა კომუნიკაციებისა და ქსელის ტექნოლოგიების სიღრმისეულად გააზრებას;
- ორგანიზაციის სტრატეგიის ფორმულირებას: კორპორატიული და ფუნქციონალური სტრატეგიის მეთოდების გამოყენებით;
- ორგანიზაციაში ERP, SCM, CRM სისტემების გამოყენების მნიშვნელობის გაცნობიერებას და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზებას;
- გადაწყვეტილების მიღებას ფორმალური, ოპტიმალური და ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენებით;

<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> • ორგანიზაციის წარმატებისთვის აუცილებელი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების შერჩევას, დანერგვას და ეფექტურ გამოყენებას; • ორგანიზაციის საინფორმაციო სისტემაში არსებული პრობლემების ფორმულირებასა და ამ პრობლემების პრაქტიკულად გადაჭრას; • თანამედროვე ბიზნეს ტექნოლოგიების ორგანიზაციის თავისებურების გათვალისწინებით შერჩევას და გამოყენებას; • მონაცემთა ბაზების ინსტალაციას, კონფიგურირებას, გამართვასა და ადმინისტრირებას; • სისტემურ/ქსელურ ადმინისტრირებას; • კორპორატიული მართვის სტრატეგიების შემუშავებას და გამოყენებას; • საინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების პროექტების შემუშავებას და დანერგვას; • მარკეტინგული სტრატეგიისა და გეგმის განვითარებას; • დარგობრივი დოკუმენტაციის სათანადო დონეზე შედგენას; • საჯარო გამოსვლისათვის განკუთვნილი ტექსტის მომზადებას;
<p>დასკვნის გაკეთების უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> • ახალი და პრაქტიკული იდეების გენერირებას; • საქმიანი ინიციატივის საკუთარ თავზე აღებას; • ორგანიზაციაში საჭირო ცვლილებების განხორციელების აუცილებლობის დანახვას და მათი ეფექტურად, ინოვაციური გზებით განხორციელებას; • შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებასა და შენარჩუნებას; • პრობლემის გადასაჭრელად ეფექტური და მყარი გადაწყვეტების შემუშავებას; • პროფესიული საქმიანობის დროს კვლევითი მეთოდების გამოყენებას;
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> • ჯგუფში და დამოუკიდებლად მუშაობას; • ორგანიზაციის მუშაობის პრინციპების, მათ შორის აქტივების მენეჯმენტის, ლიდერობის უნარ-ჩვევების გამოყენებას; • ორგანიზაციის განვითარებისთვის ახალი წამოწყებების განხორციელებას. • პრაქტიკული პროექტების განხორციელების დროს ჯგუფური მუშაობის პრინციპების გამოყენებას; • ლიდერული პასუხისმგებლობის აღებასა და გუნდურ მუშაობას; • ვერბალურ და წერილობით კომუნიკაციას; • საკუთარი დასკვნების კოლეგებსა და დაინტერესებულ პირთათვის დამაჯერებლად გადაცემას.
<p>სწავლის უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> • პროექტის ეფექტურად შემუშავებასა და მართვას; • კვლევის სათანადო დონეზე წარმართვას; • უახლესი ტექნოლოგიების შესწავლისა და მათი გამოყენების აუცილებლობის გააზრებას; • ორგანიზაციის განვითარებისთვის ახალი წამოწყებების განხორციელებას;
<p>ღირებულებები</p>	<ul style="list-style-type: none"> • სოციალური პასუხისმგებლობითა და თვითშეგნებით მოქმედებას. • დროის რესურსის ეფექტურად დაგეგმვასა და მართვას; • ეთიკური და იურიდიული ნორმებისა და რეგულაციების, გლობალური და სოციალური საკითხების გააზრებას; • ინფორმაციის უსაფრთხოებისა და დაცულობის აუცილებლობის გააზრებას და ამ მიდგომის პრაქტიკაში განხორციელებას;
<p>დასაქმების სფეროები</p>	<p>გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა აერთიანებს ტექნიკურ და მენეჯერულ კომპონენტებს, კურსდამთავრებულებს ეძლევათ განსაკუთრებით ფართო შესაძლებლობები პროფესიული წინსვლისთვის.</p> <p>მიღებული ხარისხი კურსდამთავრებულებს საშუალებას მისცემს დასაქმდნენ სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციაში, იქნება ეს სამთავრობო სტრუქტურა, კერძო ბიზნეს კომპანია, არასამთავრობო სექტორი, საკონსულტაციო, საგანმანათლებლო და სხვა.</p> <p>პროგრამის კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს ისეთ პოზიციებზე, როგორცაა: საინფორმაციო სისტემების კონსულტანტი, მთავარი საინფორმაციო ოფიცერი (CIO), მთავარი ტექნიკური ოფიცერი, პროექტის მენეჯერი, ტექნიკური სპეციალისტი, ქსელის მენეჯერი/ანალიტიკოსი, ბიზნეს ანალიტიკოსი, მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორი, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მენეჯერი, და ა.შ.</p> <p>საქართველოს შრომის ბაზარზე პოტენციური დამსაქმებლები არიან როგორც უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციები, ისე სხვა დაინტერესებული მსხვილი თუ მცირე ბიზნეს-კომპანიები, ბანკები, სახელმწიფო სტრუქტურები, საგანმანათლებლო ინსტიტუციები, საერთაშორისო კომპანიები, ვებ და სატელეკომუნიკაციო ორგანიზაციები და სხვა.</p>
<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p>	

ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

განვლილი სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისება შეფასებული იქნება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული მეთოდების წილისგან შედგება.

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;

შუასემესტრულ შეფასებას;

საბოლოო სემესტრულ შეფასებას.

შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემაში ქულები გადანაწილდება შემდეგი სქემის მიხედვით:

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91%-100%
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81% – 90%.
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71% – 80 %.
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61% – 70%.
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51% – 60%.

თუ სტუდენტმა ვერ დააგროვა დადებითი შეფასებისთვის საკმარისი ქულათა ჯამი, მაგრამ მის მიერ მოპოვებული ქულები შეადგენს ან აღემატება მაქსიმალური შეფასების 41%-ს, მას ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები შეფასების მიღება ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლება-სწავლის პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, რომლებიც ავსებენ ერთმანეთს და უზრუნველყოფენ შედეგის მიღწევას, უნივერსიტეტის დიდაქტიკური კონცეფციისა და სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით გამოიყენება შემდეგი სახის მეთოდები:

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- ლაბორატორიული მეთოდი და დემონსტრირების მეთოდი;
- პრაქტიკული მეთოდები;
- დისკუსია/დებატები;
- ჯგუფური (collaborative) მუშაობა;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი;
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება;
- ელექტრონული სწავლება (E-learning);
- შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი;
- სწავლების დედუქციური მეთოდი;
- ანალიზის მეთოდი;
- სინთეზის მეთოდი და სხვა.

სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ანაცვლებენ. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

პროგრამის სასწავლო კურსები

სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის აღწერა	სავალდებულო/ არჩევითი	ECTS კრედიტი	სწავლების სემესტრი
საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისების მართვა	<p>კურსი აღწერს, ორგანიზაციებისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების მნიშვნელოვნებას, პროცესულ მიდგომას, ინფრასტრუქტურის მართვის მთვარ მონახაზს, ტერმინებს და კონცეფციებს რომლებიც გამოიყენება საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მართვისას. განხილული იქნება ისეთი საკითხები როგორცაა: ინფორმაციული უსაფრთხოების მართვა, სერვისების დიზაინი, სერვისის სტრატეგია, სერვისის ცვლილების მართვა, სერვისების ექსპლოატაცია და გაუმჯობესება.</p> <p>კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს საინფორმაციო ტექნოლოგიური სერვისების მართვის მეთოდოლოგიები და თანამედროვე მიდგომები, ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისების მართვის საერთაშორისო გამოცდილებები.</p>	სავალდებულო	6	I
საინფორმაციო სისტემები	<p>კურსი მიმოიხილავს: ინფორმაციული სისტემების როლს საზოგადოებაში, თანამედრვე ორგანიზაციებში. ინფორმაციული სისტემების ტექნოლოგიური და პროგრამული უზრუნველყოფის ნაწილს, ინფორმაციული სისტემების გავლენას ბიზნეს პროცესებზე და გადაწყვეტილების მიღებაზე.</p> <p>თანამედროვე სტანდარტებს და ბიბლიოთეკებს.</p> <p>გარდა ამისა საგანში ყურადღება გამახვილებულია ტელეკომუნიკაციების სისტემებზე. საგანი ასევე შეისწავლის შემდეგ საკითხებს: სისტემის კომპონენტები, სისტემის კომპონენტები და მათი ურთიერთმოქმედება; ინფორმაციის ფასი/ღირებულება და ხარისხი; ინფორმაციის კონკურენტუნარიანობა; სპეციფიკაცია, დიზაინი და საინფორმაციო სისტემების განახლება; პროცედურული და არაპროცედურული პროგრამული ენები; ობიექტზე ორიენტირებული დიზაინი, მონაცემთა ბაზების თვისებები; ფუნქციები და არქიტექტურა; ქსელები, ტელეკომუნიკაციის სისტემები და აპლიკაციები;</p>	სავალდებულო	6	I
მონაცემთა ბაზების სისტემები	<p>საგანი შეისწავლის მონაცემთა ბაზების სისტემების შექმნის ისტორიას და მოტივაციას; მონაცემთა ბაზების თეორიასა და მოდელირებას, საგანში შედის ისეთი თემები, როგორცაა: მონაცემთა ბაზების სისტემების კომპონენტები; ფუნქციები; მონაცემთა ბაზების არქიტექტურა და მონაცემთა დამოუკიდებლობა.</p> <p>საგანი შეისწავლის იერარქიულ, ქსელურ, რელაციურ, ობიექტზე ორიენტირებულ და სემანტიკურ მოდელებს. სტუდენტები გაეცნობიან მონაცემთა ბაზების თეორიებს და შეადარებენ მოდელირების მეთოდებსა და იარაღებს, და შექმნიან ნორმალიზირებულ მონაცემთა ბაზებს.</p> <p>საგანი ასევე მოიცავს ეფექტური მონაცემთა ბაზების შექმნის საუკეთესო პრაქტიკას. საგანი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: მონაცემთა ბაზების პროექტირება;</p>	სავალდებულო	6	I

	ფუნქციონალური დამოკიდებულება; სტანდარტული ფორმები; მრავალმნიშვნელობითი დამოკიდებულება, გაერთიანებული დამოკიდებულება. სტუდენტები გააკეთებენ სრულყოფილ მონაცემთა ბაზებს სტანდარტული მოდელირების ტექნიკის გამოყენებით; მიიღებენ ცოდნას დატა-დრივენ ბიზნეს აპლიკაციების შექმნაში, პრაქტიკული სამუშაოების შესრულების საშუალებით.			
სტრატეგიული მენეჯმენტი	კურსის განმავლობაში სტუდენტები შეისწავლიან სტრატეგიული მენეჯმენტის ცნებებს, სტრატეგიული მართვის თეორიებს, სტრატეგიული გეგმის შემუშავების ინსტრუმენტებს, სტრატეგიის განხორციელების ეტაპებს, მონიტორინგის და შეფასების მეთოდებს და გააცნობიერებენ სტრატეგიული გეგმის როლს ორგანიზაციაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სტუდენტები ასევე გაეცნობიან ორგანიზაციის შიდა რესურსების და შესაძლებლობების, შედარებითი უპირატესობის განსაზღვრის ინსტრუმენტებს, შეისწავლიან ორგანიზაციის გარემოს სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასების მეთოდებს, სტრატეგიული რისკების იდენტიფიცირების და მათი შეფასების ინსტრუმენტებს. სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს დაანახოს თუ როგორ შეუძლია კომპანიას ცალკეული ინდუსტრიის გარშემო დაიმკვიდროს მდგრადი კონკურენტუნარიანი ადგილი მეტოქეებს შორის. სტუდენტებმა მკაფიოდ უნდა დაინახონ თუ როგორ ხდება კერძო სექტორის, არასამთავრობო სექტორის და სახელწიფო სექტორის თანამშრომლობა, ის თუ სად იკვევება მათი ინტერესები, სად ხდება თანხვედრა.	სავალდებულო	6	I
ოპერაციული სისტემები კორპორატიულ გარემოში	ოპერაციული სისტემა წარმოადგენს შუამავალ რგოლს პროგრამულ აპლიკაციებს, მოწყობილობებსა და მომხმარებელს შორის. იმისათვის რომ კარგად შეიცნო ოპერაციული სისტემის დიზინის და ფუნქციის როლი, აუცილებელია წარმოადგენა გქონდეს კომპიუტერის ორგანიზებასა და არქიტექტურაზე. კურსი ორიენტირებულია Linux ის როგორც ოპერაციული სისტემის ინსტალაციაზე, მისი შიდა ფუნქციონალობის შესწავლით, შემდგომში უსაფრთხო სერვერული სისტემების შემუშავებისათვის. კურსში განხილული იქნება ისეთი საკითხები, როგორცაა: ბრძანებათა გადაცემის ხაზი და უახლესი GUI, მათ შორის სამუშაო მაგიდის მოწყობა (desktop customization); ფაილების გაზიარება Samba, NFS, და FTP ს საშუალებით; ავტომატური ადმინისტრირება. ინტერნეტ სერვერის კონფიგურაცია და სხვა.	სავალდებულო	6	II
მონაცემთა ბაზების ადმინისტრირება	კურსში შეისწავლება მონაცემთა ბაზების ადმინისტრირების საკითხები, მათ შორის: მონაცემთა ბაზების ინსტალაცია, კონფიგურირება და გამართვა; სერვერის და სერვერული ჯგუფების ადმინისტრირება, მონაცემთა ბაზის სქემების, ცხრილების, ინდექსების და ხედვების მართვა და ოპტიმიზაცია, მომხმარებელთა სისტემასთან წვდომის და უფლებების კონფიგურირება, როლების მინიჭება, უსაფრთხოების ძირითადი საკითხები, ბექაპირებისა და ინფორმაციის აღდგენის სტრატეგიების შემუშავება, ავტომატიზაცია და შენახვა. სტუდენტები ასევე შეისწავლიან მონაცემთა მართვის საუკეთესო საშუალებებს, მონაცემთა ბაზის კლიენტებისა და სერვისების მართვის საკითხებს.	სავალდებულო	6	II

<p>ორგანიზაციული რესურსების დაგეგმვის (ERP) სისტემები</p>	<p>საგნის მიზანია სტუდენტს შეასწავლოს თუ როგორ შეაფასოს და კარგად გაიგოს ორგანიზაციის სამუშაო პროცესის ეფექტურად წარმართვის მნიშვნელობა კონკურენტუნარიან გარემოში; საგანში მიღებული ცოდნა სტუდენტებს მისცემს საშუალებას დიანახონ, შეცვალონ და გამოასწორონ სამუშაო პროცესები ორგანიზაციაში, რაც მათ მისცემს ეფექტურობისა და დასახული ამოცანების ეფექტურად განხორციელების საშუალებას. სტუდენტები კარგად გაერკვევიან თუ რა როლი აქვს ორგანიზაციებისთვის ERP, SCM, CRM სისტემებს, როგორც ორგანიზაციის არქიტექტურის ნაწილს, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ავტომატიზირებულ მართვას სამუშაო პრაქტიკაზე, ასევე განიხილავენ არასტრუქტურირებულ კოლაბორაციასა და ცოდნის მართვის პროცესს.</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>6</p>	<p>II</p>
<p>საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოება</p>	<p>საგანი შეისწავლის კომპიუტერულ პლატფორმებს, ოპერაციულ სისტემებს, ინფორმაციის მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს და ვებ აპლიკაციებს და სერვისებს უსაფრთხოების კუთხით. საგანში განხილული იქნება ინფორმაციის არსი, მისი დამუშავება, მართვა და ამ ინფორმაციის უსაფრთხოება (როგორც წვდომა, ასევე არქივაცია). საგანი მიმოიხილავს კომპიუტერული ქსელების აგების არქიტექტურას და მიღწევებს უსაფრთხოების კუთხით. სტუდენტები მიიღებენ ცოდნას networking solutions-სთვის შექმნილ სტანდარტებზე. საგნის მეორე ნაწილი შეეხება ოპერაციული სისტემების უსაფრთხოების თემას, რომლის ფარგლებშიც მოხდება ოპერაციული სისტემების უსაფრთხოების, დაცვის სისტემების და თეორიების განხილვა და ანალიზი. მოხდება access control-ის, მისი ტოპოლოგიების და მოდელების მიმოხილვა. შევისწავლით კომპიუტერული უსაფრთხოების სტანდარტებს და მათთან დაკავშირებულ რისკებს. საგანი ასევე შეისწავლის Back up სისტემებს.</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>6</p>	<p>III</p>
<p>აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები</p>	<p>კურსი ემსახურება სტუდენტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის/ თეზისის/პროექტის მომზადებისათვის ხელშეწყობას. კურსის მიზანია სტუდენტს სრულყოფილი წარმოდგენა შეუქმნას აკადემიურ სტილზე და უზრუნველყოს მისი ყველა ნაწილის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მომზადება. კურსში გათვალისწინებულია ის მრავალფეროვანი ენობრივი საკითხები, რომლებიც თავს იჩენს საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომზე მუშაობის დროს. ამ რიგისაა: სიტყვათა შერჩევა, ფრაზეოლოგიზმები, სინონიმები, წინადადების წევრთა განლაგება, მორფოლოგიურ ვარიანტებს შორის სხვაობის დანახვა, უცხო სიტყვათა სესხების მიმართ სწორი დამოკიდებულების გამომუშავება, გამონათქვამის ორპარაფრაზების შემჩნევისა და სათანადოდ აღქმის უნარ-ჩვევათა შეძენა, გამონათქვამის სოციალურ არსზე პასუხისმგებლობის გამომუშავება, ტექსტობრივი ეფექტების მიღწევის გზები, ტექსტის ორთოგრაფიულ გამართულობაზე ზრუნვა, თარგმნის სირთულეთა დაძლევის გზები და სხვ.) კურსი ითვალისწინებს დარგობრივი აკადემიური წერის სწავლებას (რაც გულისხმობს: წერის სწავლების შესაძლებლობათა განხილვას; ტექსტის ტიპების გაანალიზებას (აკადემიური ნარკვევი, ოფიციალური წერილი, დოკუმენტი, ანგარიში, განმარტებითი ბარათი, მოვლენის აღწერა, პუბლიცისტური ნარკვევი, ესეისტური</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>6</p>	<p>III</p>

	<p>თხზულება, სამეცნიერო ნაშრომი და სხვ.); სწორად წერასთან (მართლწერასთან) დაკავშირებული სირთულეების დაძლევა (აზრობრივის, ტექნიკურის: ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, სტილისტიკა); მაგისტრანტი შეისწავლის: როგორ წეროს აკადემიური სტილის დაცვით, სამაგისტრო ნაშრომისადმი შემუშავებულ ენობრივ-სტრუქტურულ მოთხოვნებს, მიზნობრივი წერითი ნაშრომის აგებას, ნაწერის შეფასებას, არგუმენტაციას, დიალოგს, ენობრივ ეტიკეტს და სხვ.</p>			
სამაგისტრო ნაშრომი	<p>სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში გათვალისწინებული სემინარების საშუალებით სტუდენტები შეძლებენ სწორად დაგეგმონ სამაგისტრო ნაშრომი. სემინარებზე განხორციელებული განხილვების საფუძველზე შეძლებენ ნაშრომის თემისა და მეთოდოლოგიის სწორად შერჩევას. ექნებათ საშუალება დისკუსიებისა და კონკრეტული კომპონენტების განხილვის გზით წარმოადგინონ ნაშრომის პირველი მონახაზი და განხილონ ლექტორებთან. სტუდენტები შეძლებენ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შემუშავებას. თითოეულ სემინარზე მოხდება შესრულებული სამუშაოს ანალიზი და კრიტიკული განხილვა, შემდგომი ეტაპების განხილვა და საჭიროების შემთხვევაში გეგმის შეცვლა. სტუდენტებს ამ პერიოდის განმავლობაში, საჭიროების შემთხვევაში, ასევე საშუალება ექნებათ ნაშრომზე იმუშაონ კონკრეტული ორგანიზაციის გარემოში.</p>	სავალდებულო	12	IV
ელექტრონული მმართველობა	<p>საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT) სწრაფად განვითარებადი და მზარდი სფეროა, რომელიც განსაკუთრებულ როლს თამაშობს მსოფლიო ეკონომიკაში, საზოგადოების ფორმირებაში, ადმინისტრირებასა და მართვაში. ელექტრონული მმართველობის მიზანია მთავრობის მიერ გაწერილი მომსახურებები მომხმარებლებს (მოქალაქეები, ბიზნესი, არასამთავრობო და სამთავრობო სექტორი) მიაწოდოს მაქსიმალურად კომფორტული ელექტრონული სერვისების სახით, ხელი შეუწყოს ამ სერვისების მომხმარებლების ინტერაქციას მთავრობასთან, შეამციროს ბიუროკრატია და დანახარჯები, ხელი შეუწყოს მოქალაქეების ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელია სტრატეგიული დაგეგმვა და შედეგზე ორიენტირებული იმპლემენტაცია მსოფლიოში არსებული წარმატებული მაგალითების გამოყენებით. კურსში მოცემულია ელექტრონული მმართველობის განვითარების ისტორია საქართველოში და მსოფლიოს რამდენიმე წარმატებულ ქვეყანაში, აღწერილია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და საუკეთესო პრაქტიკა, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებას, ნორმატიული ბაზის ანალიზს და ინფორმაციული უსაფრთხოების ძირითადი პრინციპების დანერგვას, აგრეთვე ღია/გამჭვირვალე მმართველობისა და ელექტრონული დემოკრატის დამკვიდრებას.</p>	არჩევითი	6	I
ენტერფრაიზის არქიტექტურა	<p>ენტერფრაიზის არქიტექტურა ეს არის ენტერპრაიზის ანალიზი და დიზაინი სტრატეგიის, ბიზნესის და ტექნოლოგიების პერსპექტივაში. აღნიშნული კურსი განიხილავს ენტერფრაიზის არქიტექტურის ძირითად კონცეფციებს, იგი უზრუნველყოფს სტუდენტებს იმ ძირეული ცოდნით, რაც საშუალებას მისცემს მათ გაიგონ თუ როგორ ემსახურება ენტერფრაიზის არქიტექტურა სტრატეგიული, ბიზნეს</p>	არჩევითი	6	VI

	და ტექნოლოგიების დაგეგმვის მეთოდების ინტეგრაციას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ფართოსამეწარმო საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებასა და მართვას, ბიზნესის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. კურსი განიხილავს ენტერფრაიზის არქიტექტურის თეორიებს, სტრუქტურებს, პრინციპებს და საუკეთესო ინსტრუქციებს და ამასთანავე პრაქტიკულ, ღრმა მიდგომებს, რეალური სიტუაციური ანალიზისა და პროექტების განხილვების გამოყენებით.			
სტრატეგიული მარკეტინგი	სასწავლო კურსი გულისხმობს მარკეტინგის, როგორც კომპანიაში სტრატეგიული მნიშვნელობის მიმართულების შესწავლას; კურსი მთლიანად მორგებულია ტექნოლოგიის სკოლის სტუდენტების ინტერესებს - კურსის გავლის შემდგომ, სტუდენტებს ეცოდინებათ რა არის მარკეტინგი და რა წვლილი შეუძლიათ შეიტანონ მარკეტინგის წარმატებულ ფუნქციონირებაში თავიანთი სპეციალობის გამოყენებით. სასწავლო კურსის მიზანია ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტებმა გაიგონ მარკეტინგის არსი, დანიშნულება და როლი კომპანიაში და შეძლონ თავიანთი პროფესიისა და მარკეტინგის კორელაციის დადგენა. გარდა ამისა, ჰქონდეთ საფუძვლიანი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა დროს, რა შემთხვევებსა და რა სახით შეუძლიათ კომპანიის წარმატებული განვითარებისათვის ხელშეწყობა მარკეტინგთან სწორი და პროფესიული თანამშრომლობის ხარჯზე. კურსის მიზანია სტუდენტებს მისცეს ცოდნა და უნარი ისეთ საკითხებში, როგორცაა: მარკეტინგის, როგორც მენეჯმენტის პროცესის აღქმა ტექნოლოგიაზე დაფუძნებულ ორგანიზაციებში, ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ორგანიზაციების ბიზნეს სიტუაციების ანალიზის საშუალებით; როგორ გამოიყენონ მარკეტინგული საშუალებები პროდუქტისა და სერვისის განვითარებისათვის; როგორი სახით მიაწოდონ პროდუქტი და სერვისი მომხმარებელს და მოახდინონ მათი პოპულარიზაცია; როგორ გარდაქმნან მარკეტინგული ინფორმაცია და გადაწყვეტილებები სტრატეგიულ გეგმაში, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის კომერციულ წარმატებას. ასევე გაეცნობიან საქართველოში არსებულ ტენდენციებს მოწვეული სტუმრის მოხსნების დახმარებით.	არჩევითი	6	II
საინფორმაციო სისტემების მართვა	კურსი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: ინფორმაციული სისტემების კონცეფციები ორგანიზაციულ და მენეჯერულ ჭრილში, ინფორმაციული სისტემების გავლენა ორგანიზაციაზე, სხვადასხვა ინფორმაციული სისტემის ბიზნეს ღირებულება, ინფორმაციული სისტემების ტექნოლოგიური კომპონენტები, ინფორმაციული სისტემების აგება და გლობალური სისტემების მართვა, ინფორმაციული სისტემების მართვის ეთიკური და სოციალური საკითხები, თანამედროვე ინფორმაციული სისტემების ინტეგრაციის საკითხები, კურსის განმავლობაში გამოყენებული იქნება პარატიკაზე დაფუძნებული სიტუაციების ანალიზი.	არჩევითი	6	II
მონაცემთა კომუნიკაცია და ქსელები	უკანასკნელი ათი წლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა კომპიუტერულ სამყაროში არის კომპიუტერების ფართომასშტაბიანი ურთიერთკავშირი. მონაცემების კომუნიკაციის და ქსელების სისტემები იკვლევს ამ ტექნოლოგიას. ეს კურსი განიხილავს	სავალდებულო	6	III

	<p>ძირითად ტექნოლოგიას, რომელიც იძლევა მონაცემებთა კომუნიკაციის შესაძლებლობას. კურსი მოიცავს თემებს, როგორცაა სხვადასხვა მედია კომუნიკაცია, ციფრული და ანალოგური სიგნალი, მოდულაცია, მულტიპლექსინგი, წრედები, შეცდომების კონტროლი და დინების კონტროლი. კურსი ასევე მოიცავს მრავალ რეალურ მაგალითს, მათ შორის, მოდემი, DSL, Ethernet, უკაბელო LAN , და მობილური ტელეფონების სისტემა. კურსი მიმართულია ინდივიდუალური ქსელების დიზაინისკენ, მაგრამ ასევე მიმოიხილავს internetworking ს და TCP / IP ინტერნეტ პროტოკოლს.</p> <p>ეს კურსი უზრუნველყოფს სიღრმისეულ ცოდნას მონაცემთა კომუნიკაციებისა და ქსელის მოთხოვნებთან მიმართებაში, ასევე ქსელური და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ტექნიკასა და პროგრამულ უზრუნველყოფაში.</p>			
<p>ქლაუდ ტექნოლოგიები</p>	<p>ქლაუდ ტექნოლოგიებმა შეცვალეს მომხმარებელთა დამოკიდებულება მონაცემებსა და აპლიკაციებთან. ინფორმაციის მყარი მატარებლების ან ქსელური სერვერების ნაცვლად, მონაცემები და აპლიკაციები შესაძლებელია იყოს შენახული დისტანციურად, რომელთანაც წვდომა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ადგილიდან ინტერნეტის საშუალებით. მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად ცვლის ქლაუდ ტექნოლოგიები კორპორატიული აითის სახეს და ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტის სამუშაო გარემოს.</p> <p>კურსის ფარგლებში განხილული იქნება: ქლაუდ კომპიუტინგის განსაზღვრება, პირადი, საზოგადო და ჰიბრიდული ქლაუდი, ქლაუდის ტიპები IaaS, PaaS, SaaS, ქლაუდ ტექნოლოგიების და არქიტექტურის უპირატესობები და გამოწვევები, აპლიკაციების ხელმისაწვდომობა, უსაფრთხოება და შეცდომების გამოსწორება, მომავალი თაობის ქლაუდ აპლიკაციები, ქლაუდ სერვისების მართვა.</p>	<p>არჩევითი</p>	<p>6</p>	<p>III</p>
<p>პროექტის მართვა</p>	<p>პროექტების მართვა წარმოადგენს სწორედ იმ ინსტრუმენტს, რომელიც ფუნქციონალურ ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს ოპერატიულად და ეფექტიანად გადააჯგუფოს რესურსები და მიაღწიოს დასახულ შედეგებს შეზღუდული დროისა და რესურსების პირობებში.</p> <p>საინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების (სსტ) სფეროში პროექტების მართვის მეთოდოლოგიის გამოყენება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთ პროექტებს სათავეში ხშირად IT მხრიდან მოსული პროფესიონალები უდგანან, ვისაც, სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, ფორმალიზაციისა და მენეჯმენტის შეზღუდული გამოცდილება აქვთ.</p> <p>კურსი მიზნად ისახავს მსმენელებისთვის პროექტების მართვის პრინციპებისა და ტექნიკების სწავლებას. კურსი აგებულია პროექტების მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (PMI – Project Management Institute) სტანდარტებზე, რომელიც ფართოდაა აღიარებული. კურსში გამოყენებული ყველა მაგალითი და ქეისი შეეხება რეალურ IT პროექტებს.</p> <p>კურსი განკუთვნილია იმ მოქმედი მენეჯერებისთვის, რომლებსაც უწევთ საშუალო (ხანგრძლივობა > 2 თვეზე, ბიუჯეტი >50,000 ლარზე) და მსხვილი (ხანგრძლივობა > 6</p>	<p>არჩევითი</p>	<p>6</p>	<p>III</p>

	თვეზე, ბიუჯეტი >200,000 ლარზე) პროექტების მართვა ორგანიზაციაში მათი როლიდან გამომდინარე.			
სტატისტიკა მენეჯერებისთვის	კურსი განიხილავს ისეთ საკითხებს როგორცაა: რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების შეგროვება, დამუშავება, ინტერპრეტაცია. მონაცემებზე დაყრდნობით შესაბამისი პრაქტიკული შეფასებების და დასკვნების გამოტანა და ინტერპრეტაცია. კურსი მოიცავს საფუძვლიან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეგროვდეს სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემები, როგორ უნდა მოხდეს მათი პირველადი დამუშავება და ინტერპრეტაცია. აგრეთვე, როგორ უნდა მოხდეს ამ მონაცემების გააზრება, ანალიზი და ამ ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება. კურსის შინაარსი მოიცავს კლასიკურ სტატისტიკურ მეთოდებს: სტატისტიკის ძირითადი ცნებები, მონაცემთა შეგროვება, მონაცემთა წარმოდგენა ცხრილების და გრაფიკების სახით, ხდომილობები და ალბათობის თეორიის საფუძვლები, ალბათური განაწილებები, დისკრეტული და უწყვეტი შემთხვევითი სიდიდეები, ამორჩევები და ამორჩევათა განაწილებები.	არჩევითი	6	IV
ბულალტერია და ფინანსები	საგანი შეისწავლის ბულალტერიისა და ფინანსების ძირითად არსსა და იმ მეთოდებს, რომელთა ცოდნაც აუცილებელია მენეჯერებისათვის. სტუდენტები შეისწავლიან ფინანსური აღრიცხვიანობისა და ფინანსური უწყისების შექმნასა და ანალიზს. საგანში თემები წარმოდგენილია მომხმარებლის კუთხით და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: ტრანზაქციის ანალიზი; ფინანსური სტიმენტების განმარტება და ანალიზი; სამუშაო შეკვეთის ფასის განსაზღვრა; ფასის, მოცულობისა და მოგების ანალიზი; ოპერაციების, ნაღდი ფულისა და კაპიტალის ბიუჯეტირება და ა.შ. კომპანიებში IT მენეჯერების მიმართ დასმული ამოცანების უდიდესი ნაწილი ფინანსური ხასიათისაა. ფინანსების ცოდნა IT მენეჯერს დაეხმარება ამ პრობლემების უკეთ გაგებასა და გადაწყვეტაში ფინანსური დაწესებულებები დასაქმების დიდ ბაზარს ქმნის IT მენეჯერებისათვის. ფინანსური განათლება მენეჯერს ამ ტიპის კომპანიებში სწრაფ ადაპტაციასა და ეფექტურად მუშაობაში დაეხმარება.	არჩევითი	6	II- III
გადაწყვეტილების მიღების თეორია	კურსი შექმნილია იმისთვის, რომ სტუდენტი გახდეს უკეთესი გადაწყვეტილების მიმღები. გადაწყვეტილების მიღების კარგი უნარის მქონე მენეჯერმა იცის როგორ შეიცნოს პრობლემა, გადმოსცეს გადაწყვეტილების სიტუაციის პირველადი სტრუქტურა, გადაწყვეტილების თეორიაზე დაყრდნობით გაანალიზოს პრობლემა ფორმალური მეთოდებით. გადაწყვეტილების მიმღებს უნდა შეეძლოს ეფექტურად შეაფასოს დანახარჯები გადაწყვეტილების ანალიზისას, რამდენად სანდოა ანალიზი და რა შედეგს გამოიღებს შემდგომი ნაბიჯების გადასადგმელად. ყველაზე მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიმღებს ქონდეს ეფექტური, ინტუიციური გადაწყვეტილების მიღების უნარი და ამასთან შეეძლოს ამ ინტუიციური უნარების საზღვრების აღქმა. კურსში განხილული იქნება ფორმალური, ოპტიმალური, ფსიქოლოგიური და აღწერილობითი მეთოდები, სტუდენტების ბუნებრივი გადაწყვეტილების მიღების	სავალდებულო	6	III

	<p>უნარების უკეთ შესაცნობად და გასაუმჯობესებლად. სტუდენტები შექმნიან მარტივ კვლევით პროექტს იმისათვის, რომ გააუმჯობესონ ორგანიზაციული გადაწყვეტილების მიღების პროცესი, ანუ ეფექტურად იმოქმედონ ჯგუფში, რომელსაც მიღებული აქვს დავალება ორგანიზაციული გადაწყვეტილების ანალიზისა და გაუმჯობესებისა.</p>			
მონაცემთა შენახვა	<p>კურსში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია მონაცემთა შენახვისა და ბიზნეს ინტელექტის აპლიკაციებზე. განხილული იქნება ისეთი საკითხები, როგორცაა: რა არის მონაცემთა შენახვა /დასაწყობება, მონაცემთა შენახვის საჭიროებები, არქიტექტურა, სივრცული მოდელის დიზაინი, მცირედ ცვლადი განზომილებები, ჭეშმარიტი ცხრილები, OLAP ობიექტები, მონაცემთა დასაწყობების ფიზიკური მონაცემთა ბაზის დიზაინი, გამოყოფის, ტრანსფორმაციის და დატვირთვის სტრატეგიები, ბიზნეს ინტელექტის შესავალი, ბიზნეს ინტელექტის აპლიკაციების დიზაინი და დეველოპმენტი, მონაცემთა შენახვის/დასაწყობების განვითარება და მხარდაჭერა.</p>	არჩევითი	6	IV
ინტერნეტ ტექნოლოგიები	<p>ინტერნეტი არის პროგრამული და აპარატული არქიტექტურა ბიზნეს აპლიკაციების შესაქმნელად. კურსი განიხილავს ვებ აპლიკაციების დეველოპმენტის კონცეფციებს, არქიტექტურას, ფრეიმვორკებს და ტექნოლოგიებს. ვებების და ვებ აპლიკაციების სერვერებს, სისტემების დეველოპმენტის მეთოდებს და ტექნიკას, ქსელის მუშაობის ძირითად კონცეფციებს, ინტერნეტ კომუნიკაციის პროტოკოლებს, როგორცაა: TCP/IP, HTTP, FTP, RTP. ვებ დეველოპმენტის ფრეიმვორკებს, უსაფრთხოების საკითხებს, მათ შორის საფრთხის იდენტიფიკაციას, უსაფრთხოების სტრატეგიებს, დამიფრვისა და აუტენტიფიკაციის საკითხებს. ამასთანავე განხილული იქნება სოკეტების პროგრამირება, ვებგვერდის დეველოპმენტი JavaScript, CSS და AJAX ტექნოლოგიების გამოყენებით, სერვერული დეველოპმენტის ტექნოლოგიები.</p>	არჩევითი	6	IV
ინოვაციებისა და ცვლილებების მართვა	<p>მოცემული კურსი მოიცავს ყველა იმ ძირითად საკითხსა და პრობლემას, რომელიც დაკავშირებულია ორგანიზაციულ ცვლილებასა და ინოვაციურობასთან. კერძოდ განმარტოს ცვლილების აგენტის უნარები, დიზაინი და ხელმძღვანელობის არჩევანი, ცვლილების სტილი და სამიზნე ბაზარი, ცვლილების მიზანი, მისია და ა.შ. კურსი ძირითადად ეფუძნება ინოვაციისა და ცვლილებების უახლეს კვლევებს. კურსი უზრუნველყოფს სტუდენტებს მიხვდნენ, გააკეთონ დასკვნები და განახორციელონ ორგანიზაციული ცვლილებები და ინოვაციები. იგი მოიცავს გამოცადოს ცვლილების აგენტის შესაძლებლობები და გზა რომელსაც აირჩევს იგი ცვლილების განსახორციელებლად. კურსი ასევე ეხმარება სტუდენტს გახდნენ კომპეტენტურები შეაფასონ ცვლილების აგენტის შესაძლებლობები, ცვლილების კონტექსტი, გააკეთონ თავიანთი არჩევანი ისე რომ საუკეთესო იყოს ორგანიზაციისათვის, აძლევს უნარს შექმნან ცვლილების გარდამავლობის დიზაინი და შექმნან ორგანიზაციისათვის კრეატიულობისა და ინოვაციის გარემო.</p>	არჩევითი	6	IV

<p>ადამიანური რესურსების მართვა</p>	<p>მოცემული კურსი მოიცავს ყველა იმ ძირითად საკითხსა და პრობლემას, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის რესურსების მართვის საკითხებთან კერძოდ, პერსონალის მართვის სტრატეგია, პოლიტიკა, პერსონალის მიზნობრივი დაგეგმვა, შესაბამისი პროფესიული და პიროვნული უნარ-ჩვევების მქონე კადრებით დაკომპლექტება, შერჩეული კადრების ადაპტაცია, თანამშრომელთა მოტივაცია, სწავლება და განვითარება, კარიერის დაგეგმვა, სახელფასო სისტემა, საკომპენსაციო პაკეტის შექმნა და ა.შ.</p> <p>კურსი ძირითადად ეფუძვნება პერსონალის მართვისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის უახლეს კვლევებს.</p> <p>სასწავლო კურსის ძირითად მიზანს წარმოადგენს ადამიანის რესურსების მართვის ძირითადი ფუნქციებისა და პროცედურების განხილვა. სტუდენტებისათვის ადამიანის რესურსების მართვის სტრატეგიულ მიმართულებების, წარმმართველი პროცესების, მეთოდებისა და მეთოდოლოგიის გაცნობა.</p>	<p>არჩევითი</p>	<p>6</p>	<p>IV</p>
<p>პროფესიული პრაქტიკა</p>	<p>კურსის მიზანია სტუდენტს მიეცეს საშუალება აუდიტორიაში მიღებული ცოდნა განახორციელოს პრაქტიკაში კონკრეტულ ორგანიზაციაში. გაიდრმაგოს ცოდნა კონკრეტული მიმართულებით. ახლოს გაეცნონ საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯმენტსა და მათ სპეციფიკას, დაეუფლონ საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტებში მუშაობისათვის აუცილებელ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. სტუდენტი შეძლებს კონკრეტული საქმიანობის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების შექმნას და უშუალოდ სამომავლო სამსახურებრივი ვალდებულების აღებამდე არჩევანის შესაძლებლობების გათავისებებს;</p> <p>პროფესიული პრაქტიკის პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს მარტივად და სწრაფად დასაქმების შესაძლებლობა მიეცემა.</p>	<p>არჩევითი</p>	<p>12</p>	<p>IV</p>